პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 14 თებერვალი № 37 (17979) ფასი 2 კაპ.



## ერთგულება

დღედაღამ შრომობსო, ვიტყვით ხოლმე ერთობ გამრჯე კაცზე. ისეთი მრავალმხრივი მოღვაწის მიმართ, როგორიც აკადემიკოსი ევგენი ხარაძე ბრძანდება, ეს სიტყვები ლამის პირდაპირი მნიშვნელობით გაიხმის. სამეცნიერო და პედაგოგიური, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობა — ეს რამდენიმე ადამიანის საახალგაზრო და პატივცემული ევგენიც სწორედ რომ რამდენიმე ადამიანის საქმეს აკეთებს.

აკადემიკოს ევგენი ხარაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ასტროფიზიკისა და ვარსკვლავთა ასტრონომიის განვითარებაში. საერთაშორისო სახელის მკვლევარი, ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, ორი ცნობილი საერთაშორისო ასტრონომიული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი დირიჟორულად წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერებას ყველგან.

მალე ნახევარი საუკუნე შესრულდება იმ სამახსოვრო დღიდან, რაც 26 წლის ახალგაზრდა ევგენი ხარაძე სათავეში ჩაუდგა ახალთუმნის ობსერვატორიას — საბჭოთა კავშირში პირველ მალალმთიან ასტროფიზიკურ ობსერვატორიას.

დაუცხრომელი მეცადინეობით, მშობლის პირმშოზე გადაგებით შექმნა მან მსხვილი მრავალპროფილიანი სამეცნიერო დაწესებულება, სადაც უმაღლეს დონეზე სწავლობენ თანამედროვე ასტროფიზიკის ფუნდამენტურ პრობლემებს, მჭიდროდ არიან ჩაბმული კოსმოსური კვლევის თემატიკაში და ამ დარგის მრავალ თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხს წყვეტენ.

ვინც კი უანობილზე გაშენებული ობსერვატორია მოინახულა, აღტაცებული დარჩა იქაური მეცნიერული თუ საყოფაცხოვრებო კულტურით, ერთსულოვანი კოლექტივით, რომელიც დარაზმულია თავისი დირექტორის ირგვლივ და ფანატიკური ერთგულებით ემსახურება საყვარელ საქმეს. სტუმრები ამბობენ, აქაურობა პატარა სამოთხეაო მეხსეთის ტელეფონმა. რეკავდნენ კათედრიდან, ლაბორატორიიდან, გამომცემლობიდან, ორჯერ აბასთუმნის ობსერვატორიიდანაც დაუკავშირდნენ. ეგვე მე მომეჩვენა ასე, მაგრამ აბასთუმანთან ლაპარაკის დროს თითქოს სულ სხვა იყო მისი სახის იერიც და ხმაც. ერთი უცნაური ნოველა გამახსენდა — „იქ, მთებზია ჩემი გული“. მეცნიერი გონებით ბევრ საქმეს წვდება და უძღვება კიდეც ერთნაირი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით, მაგრამ გულით, გულისგულით, მგონია, მოდამ იქ არის, უანობილის მთის პლატოზე...

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ აღუთქვა, რომ რესპუბლიკის მეცნიერების მოღვაწენი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაამართლონ საბჭოთა მეცნიერების რაზმის საპატიო წოდება.

**თ. ეგანოვიძე.**

სურათზე: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ე. ხარაძე.



# საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

## წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგები და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, ქალაქებს, რაიონებს, საწარმოებს, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციებს შორის გაჩალებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვეს:

### ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს შორის:

აფხაზეთის ასსრ

### ქალაქებს შორის:

| | |
|---|---|
| სოხუმი; | ტყიბული; |
| ზუგდიდი; | ბათუმი; |
| ჭიათურა; | ფოთი. |

### რაიონებს შორის:

ქალაქ წყალტუბოს ზონა;
ქობულეთის;
სოხუმის;
ლანჩხუთის;
საჩხერის.

### ქალაქ თბილისის რაიონებს შორის:

საქარხნო რაიონი;
26 კომისრის სახელობის რაიონი;
ოქტომბრის რაიონი;
კიროვის რაიონი.

### გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს შორის:

**საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით:**
მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება;
**საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხაზით:**
№ 11 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველო
**საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით:**
ქალაქ ფოთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო
**საქართველოს სსრ სახიანაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაზით:**
საქკომუნრემმშენის № 1 ტრესტი.
**საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით:**
თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა;
ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა
**საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით:**
ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი
**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით:**
გორის საწარმოო გაერთიანება
**საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით:**
საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერი“
**საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქართველოს ჩაის“ ხაზით:**
წყალტუბოს ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება
**საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „სამტრესტის“ ხაზით:**
ბურჯაანის ღვინის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება
**საქართველოს სსრ ხაშენ მახალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით:**
თბილისის კერამიკის კომბინატი
**საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით:**
თბილისის საპროთეზო-ორთოპედიული ქარხანა
**საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით:**
ხის დამმუშავებელი საწარმოო გაერთიანება „მშენდეტალი“;
გაერთიანება „თბილისქალაქმშენის“ № 14 ტრესტი
**საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით:**
სავაჭრო ფირმა „კულტსამეურნეოსაქონელი“
**საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ხაზით:**
ქალაქ თბილისის გაზის მეურნეობის სამმართველო
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს ხაზით:**
„საქმრეწგვამართვის“ სამმართველო
**საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით:**
„საქკოლმშენის“ რესპუბლიკური გაერთიანების გურჯაანის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია;
№ 9 ტრესტის № 7 სპეციალური მოძრავი მექანიზებული კოლონა
**საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს ხაზით:**
თბილისის ნავთობბაზა
**საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით:**
კინოსტუდია „ქართული ფილმი“
**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით:**
საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრი
**საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს ხაზით:**
საქართველოს ცენტრალური კომპლექსური ექსპედიცია
**ციკავშირის სისტემის ხაზით:**
გორდაბნის რაიკოოპკავშირი;
ჩხოროწყუს რაიკოოპერატივი
**საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით:**
თბილისის ზ. რუხაძის სახელობის № 3 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი
**საქართველოს სსრ სახმომარაგების ხაზით:**
„საქმანქანამომარაგებაგასაღების“ სამმართველო
**თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საინჟინრო ნაგებობათა და მიწისქვეშა კომუნიკაციათა მშენებლობის „ინჟმშენის“ სისტემის ხაზით:**
„ინჟმშენის“ ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველო
**საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხაზით:**
თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი;
თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი;
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი
**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით:**
თბილისის № 77 საშუალო სკოლა
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით:**
სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტი
**იმ საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებმა, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებს შორის, რომლებიც არ შედიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში:**
საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი;
საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი;
საბჭოთა კავშირის ქალაქ თბილისის საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

### საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის:

გაერთიანება „საქტრანსგაზი“;
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი“ და მისი ქარხანა;
თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი
**საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხაზით:**
თბილისის მექანიზებული სატყეო მეურნეობა
**საქართველოს სსრ სახსოფლტექნიკის ხაზით:**
გორის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება „სოფლტექნიკა“
**საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ხაზით:**
სოხუმის წისქვილქარხანა.

### სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვეს საქართველოს სსრ რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა ორგანიზაციები:

### რაიონები საერთო მაჩვენებლების მიხედვით:

| | |
|---|---|
| ხობის; | ქედის; |
| ცხაკაიას; | გალის; |
| სამტრედიის; | ახმეტის; |
| ჩხოროწყუს; | მაიაკოვსკის; |
| მარნეულის; | წალენჯიხის; |
| გარდაბნის; | ხელვაჩაურის; |
| ლენინგორის; | |

**მეგობრობის ორდენით:**
მცხეთის;
**მეავტოფილეობაში:**
ბოლნისის;
**მეშარხლეობაში:**
კასპის;
**მეჩაიეობაში:**
ზუგდიდის;
ოჩამჩირის;

**მეგზავნეობაში:**
წითელწყაროს;
ზესტაფონის;
**მეხილეობაში:**
გორის;
**მეცხოველეობაში:**
ლენტეხის;
ყაზბეგის;
**საკვებწარმოებაში:**
დმანისის.

**სანაწილო და შუალედურ კულტურებში:**
ლაგოდეხის;

**კოლმეურნეობები:**

ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის აკაკი წერეთლის სახელობისა;
მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის ვ. მაიაკოვსკის სახელობისა;
თელავის რაიონის სოფელ ბუშეტის ს. კიროვის სახელობისა;
წულუკიძის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაიშის ვ. ი. ლენინის სახელობისა;
საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორკისა;
კასპის რაიონის სოფელ ქვემო ბალის ი. ბ. სტალინის სახელობისა;
აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის ა. ყდანოვის სახელობისა;
ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთისა;
ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ რიონისა;
გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის მ. ცხაკაიას სახელობისა;
აჯარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნისა;
ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობისა;
ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“;
სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობისა;
ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშისა;
ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კ. ცეტკინის სახელობისა;
ქ. ტყიბულის ზონის სოფელ ორპირისა;

**მეკარტოფილეობაში:**
ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეკის მ. კალინინის სახელობისა;

**საკვებწარმოებაში:**
მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის ფრუნზეს სახელობისა;
ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს მახარაძის სახელობისა;

**საბჭოთა მეურნეობები:**
ახმეტის რაიონის ოქიოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა;
დმანისის რაიონის ვარდისუბნის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა;
ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობა;
მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვება“;
ძველი აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება;
აჯარის ასსრ ქობულეთის რაიონის ციხისძირის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა;

**მეგზავნეობაში:**
გარდაბნის რაიონის გარდაბნის მეგზავნეობის საბჭოთა მეურნეობა;
სამტრედიის რაიონის გომის მეგზავნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა;

**მეკარტოფილეობაში:**
წალკის რაიონის ჯინისის ექსპერიმენტული მეურნეობა;
ბოლნისის რაიონის ფახრალოს საბჭოთა მეურნეობა.

**საკვებწარმოებაში:**
გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატი;

**სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს შორის:**
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ი. ნ. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

● ●

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაკები კიდევ უფრო შართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას მეთერთმეტე ხუთწლედში წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ამაღლებისათვის, მოიკრებენ წარმატებებს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში და ღირსეულად შეხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ ყრილობას.** (საქინფორმი).

**სიტყვა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატზე**

## საყრილობო ვახტზეა მთელი საქართველო!

**გაიმართა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც შეჯამა გასული წლისა და მეათე ხუთწლედის საქმიანობის შედეგები, დასახა მომდინარე და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულების გზები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.** მოხსენება გაკეთა რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ო. ი. ლოლაშვილმა.

ახალი საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემა და არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევეთა დანერგვა, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება და ნაწარმის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება — ასეთია სამინისტროს საწარმოთა გასული წლისა და მეათე ხუთწლედის მუშაობის ძირითადი შედეგები. ათვისებულია ახალ პროგრესულ სახეობათა საშენი მასალების — სმალტის, მოსაპირკეთებელი საფასადო ფილების, „500“ მარკის ცემენტისა და სხვების წარმოება.

მეათე ხუთწლედში მიმდინარეობდა დარგის საწარმოთა ინტენსიური ტექნიკური განახლება.

გაუმჯობესდა წარმოების მართვის სტრუქტურა, კადრების შერჩევა, განწყობილება და აღზრდა. მოეწყო ბევრი ხელმძღვანელი მუშაკის ხელახალი ატესტაცია, კვალიფიკაცია აიმაღლა ათასობით მუშამ და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა.

საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა შარშან 20 პროცენტს გადააჭარბა, რაც 1,5-ჯერ აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ახლა ხარისხის ნიშნით გამოდის 49 დასახელების პროდუქცია, მათ შორის სპეციალური ჰიდროტექნიკური ცემენტი ენგურის ჰიდროელექტროსადგურისათვის, მარმარილოს მოზაიკური ფილები, ღორღი და ხრეში.

...უანობილის „ციდან“ ახალდაბრუნებულ პრეზიდენტს ჩვენულებრივ უამრავი მიწიერი საქმე დახვდა აკადემიაში, მაგრამ მაინც გამონახა ჩვენთვის დრო, ჩვეული თავაზიანობითა და სითბოთი მიგვიღო. როცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე მიღებულ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა, თქვა:

— თქვენ უთუოდ მიაქციეთ დიდი ყურადღებას, რა ხატოვნად აღნიშნა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ: ყრილობის დელეგატებს შორის არის ორი მთავარი დელეგატი — ერთია მეგობრობა, მეორე — მომავალი. მართლაც, მეგობრობა, მეგობრული, შემოქმედებითი თანამშრომლობა კოლექტივებს შორის, ხალხთა შორის, რესპუბლიკებს შორის უძლიერესი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა. რაც შეეხება მომავალს — ჩვენ მომავლისათვის ვიღვწოთ, მთელი ჩვენი მეცადინეობა იმას ისახავს მიზნად, რომ მომავალ თაობას უკეთესი ცხოვრება ჰქონდეს და რომ კომუნიზმის მაღალი იდეალები განხორციელდეს.

სწორედ ეს ორი დელეგატი მოექცევა საკავშირო ყრილობის ფოკუსშიც, ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ისტორიულ ფორუმზე, რომელსაც ყველანი ასეთი მღელვარებით ველით.

...მის კაბინეტში ჩვენი ყოფნისას რამდენჯერმე დარეკა ტელეფონმა. რეკავდნენ კათედრიდან, ლაბორატორიიდან, გამომცემლობიდან, ორჯერ აბასთუმნის ობსერვატორიიდანაც დაუკავშირდნენ. ეგვე მე მომეჩვენა ასე, მაგრამ აბასთუმანთან ლაპარაკის დროს თითქოს სულ სხვა იყო მისი სახის იერიც და ხმაც. ერთი უცნაური ნოველა გამახსენდა — „იქ, მთებზია ჩემი გული“. მეცნიერი გონებით ბევრ საქმეს წვდება და უძღვება კიდეც ერთნაირი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით, მაგრამ გულით, გულისგულით, მგონია, მოდამ იქ არის, უანობილის მთის პლატოზე...

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ აღუთქვა, რომ რესპუბლიკის მეცნიერების მოღვაწენი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გაამართლონ საბჭოთა მეცნიერების რაზმის საპატიო წოდება.

**თ. ეგანოვიძე.**

სურათზე: სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ე. ხარაძე.

## განვავითაროთ სამშენებლო ინდუსტრია

## მეგობრობის მერიდიანებზე

**თერჯოლა.** (საკ. კორ.). მეორე დღეა მზიურ მხარეში არიან ყაზახეთის უკიდეგანო ტრამალებიდან ჩამოსული ატბასარელი სტუმრები. გუშინ დელეგაციას გულთბილი მიღება მოუწყვეს პარტიის რაიონულ კომიტეტში. რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ მათ გააცნო ის დიდი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც მოხდა მეათე ხუთწლედში და გადასცა სამახსოვრო საჩუქრები. თავის მხრივ ატბასარელთა მიერ მიღწეული მიჯნების შესახებ ილაპარაკა დელეგაციის მეთაურმა, პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. პონომარიოვმა. შეხვედრის შემდეგ სტუმრებმა დაიწყეს რაიონის ღირსშესანიშნაობათა გაცნობა. აღტაცებული დარჩნენ სამხატვრო გალერეის ნახვით. ქართველ მწერალთა, მოქანდაკეთა შემოქმედებაზე მათ ესაუბრა გალერეის მეცნიერი მუშაკი დ. ციბაძე. დიდი ინტერესით დათვალიერეს რაიონული ბიბლიოთეკა, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, სოფელ ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თერჯოლის ღვინის ქარხანა. გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თერჯოლის რაიკომის მდივანმა ნ. ქოჩაშვილმა. ყაზახ მეგობრებს მიესალმნენ სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, თუზის ა.ყ. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. დავთაძე, ყოფილი ყამირელები — საკოლმეურნეო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარე გ. გაბელაშვილი და ზედა სიმონეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ზ. გვენეტაძე, მოსწავლე კ. ზარნაძე და სხვები.

სტუმართა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა, პარტიის ატბასარის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. პონომარიოვმა, ახლადშეძენილ ქართველ მეგობრებს მიესალმა სოციალისტური შრომის გმირი, ტრაქტორისტი ი. გრაგინი. შეხვედრამ საქმიანი მიმართულება მიიღო. სოციალისტური შეჯიბრების რაიონული კომისიის თავმჯდომარემ თ. ცერცვაძემ სტუმრებს გააცნო ახალი — 1981 წლის ვალდებულებანი და გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

**ო. ნიჟაბაძე.**

სურათზე: ატბასარის რაიონის დელეგაციის ხელმძღვანელს, პარტიის ატბასარის რაიკომის მეორე მდივანს ვ. პონომარიოვს მიესალმება პიონერი თ. ცერცვაძე.

**ო. ბერეჩიკიძის ფოტო.**

## მოძმე ყაზახები თერჯოლაში

XXVI სკკპ ყრილობის შესანიშნავად

# ალმშენებლობის პროგრამა

**გამოხმაურება • წინადადება • მოსაზრება**

**„განვიხილავთ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“**

## განთქმულ ჯიშებს — მეტი ყურადღება

ძირითად მიმართულებათა ახალ პროექტში დიდი ადგილი ეთმობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს, რომლებიც ძირითადად ჩამოყალიბებულია პროექტის V განყოფილებაში. გათვალისწინებულია მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება 238-243 მილიონ ტონამდე გაზრდა. ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია სიმინდის მოვლა-მოყვანის გაუმჯობესება. ამ მხრივ საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს აბაშის რაიონის მშრომელებმა. ეს მისასალმებელია. მაგრამ რამდენადმე მივიწყებულია სიმინდის საყოველთაოდ განთქმული ადგილობრივი ჯიშები „აბაშური ყვითელი“ და „ოჯალეთის თეთრი“. შემცირდა ამ ჯიშების ნათესები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ზოგს ის ჰგონია, რომ ადგილობრივი ჯიშების ნათესში მექანიზაციას კარგად ვერ იყენებენ. ეს პრობლემა შესაბამისმა საცდელმა სადგურებმა და ინსტიტუტებმა უნდა გადაწყვიტონ.

ზოგს კარგად ახსოვს მეგრელი მეჯოგეების კვარაცხელიების ძროხები და ხარები. სადღაა ისინი დღეს. აჯა-იქ თუ შეგვხვდება. უფრო გატაცებული ვართ შემოყვანილი ჯიშების დამკვიდრებით, მაგრამ ხშირად სასურველ შედეგებს ვერ ვაღწევთ. საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ადგილობრივი ჯიშის ძროხების მომრავლებას.

ჩვენთან, კოლხეთში მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საკარმიდამო მეურნეობებში, რომლებიც პროექტში ხურსათის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვად არის მიჩნეული.

საჭიროა საქსოფლტექნიკის რაიონულ განყოფილებებში შეიქმნას მოძრავი მექანიზებული რაზმი, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე შეწამლავს მცენარეებს, რითაც დიდძალ მოსავლს გადაარჩენს.

**3. ფირცხალავა,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, „პერსონალური პენსიონერი.**

**პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა იმას, რომ საჭიროა უკეთ და უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ არსებული შრომითი რესურსები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ე. ა. შევარდნაძემ გააკეთა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი რესურსების, განსაკუთრებით მთისა და მთისწინეთის რაიონების, პატარა და საშუალო ქალაქების შრომითი რესურსების სრულად გამოყენებას.**

**საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს რ. ჯაფარიძეს გაეშუქებინა ჩვენს რესპუბლიკაში შრომითი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.**

# მუშახელს — სამუშაო

**ჩვენს** ქვეყანაში საწარმოო ძალები სწრაფი ტემპით ვითარდება. მიმდინარეობს ცომბრისა და ჩრდილოეთის რაიონების ათვისება, ყოველწლიურად მწყობრში დგება ინდუსტრიის ათასობით ახალი საწარმო, ფართოვდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო. ისინი მოითხოვენ ახალ მუშახელს. შრომითი რესურსების პრობლემა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გამწვავდა უკანასკნელ წლებში. შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე 92 პროცენტს აღწევს. შრომითი რესურსების წარმოქმნილი დეფიციტი მთელი რიგი ობიექტური მიზეზების და, უმთავრესად დიდი სამამულო ომის გამო გამოწვეული შობადობის საერთო შემცირების შედეგია.

რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკას, აქ რამდენადმე სხვანაირი სურათია. საქართველო, როგორც ვიცით, განეკუთვნება იმ რესპუბლიკების რიცხვს, რომლებსაც ჯერ შრომითი რესურსები აქვთ. მოსახლეობის დასაქმების დონით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს, ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი გახდა მთელი რიგი წლების მანძილზე, განსაკუთრებით ომოცდაათიან-სამოციან წლებში რესპუბლიკის სამრეწველო განვითარების შედარებით ნელი ტემპი. მეცხრე და მეათე ხუთწლედების მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა თითქმის ერთიორად, ხოლო მოსახლეობის დასაქმების დონე — 83-დან 86 პროცენტამდე. მაშასადამე, დღესაც ვდგავართ იმის საჭიროების წინაშე, რომ უზრუნველყოთ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის უფრო დიდი დასაქმება. და ეს ამოცანა, როგორც ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, უმნიშვნელოვანესია. აქედან გამომდინარე, ყრილობის შრომითი რესურსების გამოყენების სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს საზოგადოებრივ მეურნეობაში რესპუბლიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას ძირითადად მეთერთმეტე ხუთწლედში.

ახლა საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელია შრომისუნარიანი მოსახლეობის 13,7 პროცენტი. ამ კატეგორიის ადამიანთა დიდ უმრავლესობას (80 პროცენტს) ქალები შეადგენენ. მაშასადამე, მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლებას რესპუბლიკაში შეგვიძლია მივაღწიოთ, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი წარმოების სფეროში ქალთა ფართო ჩაბმის გზით.

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, პროფსაბჭოსთან და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მონაწილეობით მომდინარე ხუთწლედისათვის შემუშავებულია ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე დედისა და ბავშვის დაცვის კომპლექსური პროგრამა. იგი ითვალისწინებს ხუთწლედის დამლევისათვის ქალთა სრულ განთავისუფლებას მავნე პირობებში მძიმე ხელის შრომისაგან, აგრეთვე მშრომელ ქალთა 70 პროცენტის განთავისუფლებას ღამის ცვლაში მუშაობისაგან.

ჩვენს რესპუბლიკაში წარსულში დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და შრომითი რესურსების ფორმირების სხვა თავისებურებათა შეუფასებლობის გამო დისპროპორცია წარმოიშვა სამრეწველო საწარმოთა გეოგრაფიულ განლაგებასა და თავისუფალი შრომითი რესურსების არსებობას შორის. ამის შედეგად ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის შედარებით დიდი ბუნებრივი მატების პირობებში მცირე დასაქმებაა. ამავე დროს თბილისში, ქალაქ ბაკურიანში, ბორჯომში, ფოთში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბაღდათში, ხონში, ვანში, ონში, ამბროლაურში, ცაგერში, ლენტეხში, ადიგენში, ასპინძაში, ახალციხეში, ბორჯომში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ბოლნისში, დმანისში, ყვარელში, ლაგოდეხში, ახმეტაში, ფასანაურში, ბაღდასარში, ბაზალეთში, ბოლოქში, ბურნაკში, ბანოვანში, ბაკურიან

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

# ᲓᲠᲝᲐ, ᲬᲔᲠᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲔᲡᲕᲐᲡ!

**ᲧᲕᲔᲚᲐ** კარგად დაწყებული საქმე იმდენად არის მოსაწონი და მასასაქებელი, რამდენადაც მას შესაფერი დასასრული აქვს. ყოველი დისკუსია და პოლემიკა მანამ არის დასაბეგლო და საინტერესო სანამ დაცულია მეცნიერული კვლევა-ძიების დაწერილი და დაუწერელი ეთიკა, სანამ კვლევა-ძიებაში ერთვის ახალ-ახალი მასალა და არგუმენტები, სანამ ჭეშმარიტების ძიებისადმი ობიექტური დამოკიდებულება არ შეუცვლია პატივმოყვარეობას. მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როცა ჩვენს პრესაში გაშლილი პოლემიკა თუ დისკუსია კარგავს ხოლმე თავის მეცნიერულ ღირებულებას და მის ადგილს იკავებს ოპონენტთა პატივმოყვარეობა. ამ გარემოებას, ჩვენი აზრით, ზზარად ხელს უწყობს ის გამოცემებიც, სადაც ამგვარი სტატიები იბეჭდება.

აი, ახლაც იძულებული ვართ შევეხოთ ერთ-ერთი პოლემიკის ისტორიას, რომელიც სამაოდე წლის წინათ დაიწყო პრესაში ორი სადავო ფსევდონიმის („სფირიდონ ჩიტორელიძე", „მაქსიმ ღაღანიძე") შესახებ. პოლემიკა დროული და საჭირო იყო, რამდენადაც იგი დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის სახელთანაც. ამჟამად კი, როგორც ცნობილია, მუშაობა მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემის განსახორციელებლად. ოპონენტებმა (პროფ. დ. გამეზარდაშვილმა და პროფ. ალ. კალანდაძემ) სადავო საკითხს გარკვევას რამდენიმე სტატია უძღვნეს, ხოლო უკანასკნელად, თითქმის ერთდროულად, მკითხველმა მიიღო მათი წიგნები (იხ. დ. გამეზარდაშვილის „განსაჯოს კაცმან პირუთვნელმან" და ალ. კალანდაძის „კრიტიკა. პოლემიკა"), რომლებშიც ავტორებმა დააჯამეს თავიანთი შეხედულებები და სრულიად აშკარა გახდა არა მხოლოდ მათი პოზიციები, არამედ, რაც მთავარია, ღირსები და რაობაც ამ საბუთებისა, რომელთაც ისინი ემყარებიან. მაგრამ ყოველივე ამას შესწავლა და დასკვნის გაკეთება ესაჭიროება იმ უწყებათაგან, რომელნიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი ამ საკითხის გარკვევით. ამ მხრივ კი ჯერჯერობით არაფერი კეთდება, რითაც, სამწუხაროდ, სარგებლობს ზოგიერთი ოპონენტი და გაუგებრობის ხელოვნურად შექმნას ცდილობს. სხვა მიზანი არ ჰქონია, მაგალითად, პრესაში დაბეჭდილ გ. შარაძის წერილს „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად", რომელიც პროფ. დ. გამეზარდაშვილის წიგნის („განსაჯოს კაცმან პირუთვნელმან") გამოსვლიდან სულ ათიოდე დღის შემდეგ გამოქვეყნდა. ავტორმა თავის წერილში (წყარო ების მითითების გარეშე!) მოიტანა ამონაწერი სხვის მიერ მიკვლეული საარქივო მასალიდან, რომელიც თითქოსდა სადავო საკითხს საბოლოოდ ჰფენს შუქს. სინამდვილეში კი მის მიერ მოხმობილი ეს მასალა. პრინციპულად ახალს საერთოდ არაფერს ამბობს სადავო საკითხის გადასაწყვეტად და, რაც მთავარია, იგი სრულებით არ მეტყველებს პროფ. დ. გამეზარდაშვილის პოზიციის საწინააღმდეგოდ. მაშ რა საჭირო იყო ამგვარი წერილის ასე ნაჩქარევად გამოქვეყნება?!

ამჟამად არ გვინდა საუბარი გავაგრძელოთ ამ საკითხზე და ვიკისროთ არბიტრის როლი, თუმცა ჩვენ გაგვაჩნია ჩვენი გარკვეული პოზიცია („იხ „ტექსტოლოგიის საკითხები", წ. I, 1970 წ., გვ. 74-75 და „ვის ეკუთვნის ფსევდონიმი — სფირიდონ ჩიტორელიძე?" წიგნში „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თსუ გამომცემლობა, წ. VII, 1978 წ., გვ. 487-96). ჩვენი ღრმა რწმენით, უკვე არსებობს საკმო ფაქტები, რათა დროულად მივიჩნიოთ წერტილის დასმა პოლემიკის ამგვარი წესით გაგრძელებისათვის. საჭიროა გამოიყოს კომპეტენტური კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა გამოქვეყნებულ მასალას და, აგრეთვე, სპეციალისტთა დამოკიდებულებას მათ მიმართ. ამგვარი კომისიის შექმნა კი უნდა უზრუნველყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ.

დიახ, შესაფერმა კომისიამ უნდა შეისწავლოს ყველა დაგროვილი მასალა და, თუ საჭიროდ დაინახავს, მოაწყოს საჯარო დისკუსია, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა სპეციალისტს გამოთქვას თავისი შეხედულება. სათქმელი კი, დარწმუნებული ვარ, ბევრია არა მხოლოდ პოლემიკაში მყოფ ოპონენტთა მიერ მოხმობილი საარქივო და გამოქვეყნებული მასალის გამოყენების „ეთილინდრიკულებაზე, არამედ კვლევა-ძიებაში დღემდე ჩაურთველ ცნობებსა და შეხედულებებზეც. ჩვენი ეს ნათქვამი, რომ ლიტონ სიტყვებად არავინ მიიჩნიოს, აქვე მოვიყვანთ ორ ფაქტს. დღემდე ოპონენტებს ანგარიში არ გაუწევიათ ცნობილი ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის მიხეილ ჯავახიშვილისა და მეცხრამეტე საუკუნის ქართული ფილეტონის ერთადერთი მკვლევარის ლევან ასათიანის შეხედულებებისათვის. მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1928 წელს გარკვევით წერდა: ილია ჭავჭავაძემ „თანაბარი მიჯნები ჩაუყარა ახალ ლიტერატურას და ახალ ქართულსაც... რა თქმა უნდა, წინამძღოლი ილია მარტო არ იყო. მას გვერდით და ფეხდაფეხ მისდევდნენ ყიფიანები დიმიტრი, დავითი და მიხეილი (სფირიდონ ჩიტორელიძე), გიორგი ერისთავი, ანტონოვი, არდაზიანი, რჩეულიშვილი., და თანდათან ემატებიან: აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა, ლომოური, მგალობლიშვილი და მრავალი სხვაც" (მ. ჯავახიშვილი. რჩეული თხზულებანი, ტ. VI, გვ. 318, 320).

მიხ. ჯავახიშვილის ამ ცნობას თავისი დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ გამოჩენილ მწერალს ბედმა არგუნა თვით ილია ჭავჭავაძისთან და მის თანამებრძოლებთან სიახლოვე. როგორც თვითონ ამბობს, 1904 წელს იგი იყო გაზეთ „იერიონის" ფაქტიური რედაქტორი (იქვე, გვ. 483), გარდა ამისა ილიას ხვდებოდა ხოლმე როგორც საგუთრამოში, ასევე — თბილისში (იქვე, გვ. 470). ამასთან ერთად, 1907 წელს იგი რედაქტორობდა გაზეთ „გლეხს" და ჰქონდა უშუალო ურთიერთობა ძველ მოღვაწეებთან. რაც შეეხება ლევან ასათიანს, როგორც ერთადერთმა, შეისწავლა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ფილეტონი, საგანგებოდ ახასიათებს ყველა გამოჩენილი ფელეტონისტის, მათ შორის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ყიფიან-სფირიდონ ჩიტორელიძის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა ფელეტონების ფორმასა და შინაარსს, — ენასა და სტილს, მათ ღირსებებსა და ნაკლოვანებებს. მისი თქმით, „ჟურნალ „საქართველოს მოამბეში"... თავისი ფელეტონებით მკითხველთა ყურადღება მიიპყრო თერგდალეულთა თაობის ნიჭიერმა ჟურნალისტმა მიხეილ ყიფიანმა, რომელიც სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით თანამშრომლობდა..." (იხ. ლ. ასათიანი. ლიტერატურული ნარკვევი და წერილები, 1955 წ., გვ. 181 და 184-187). მისივე სამართლიანი შეხედულებით, „ჩიტორელიძის ფელეტონებს გარკვეული ნაკლიც ახლდა. უპირველეს ყოვლისა, ამ ფელეტონებს ახასიათებდა დიდი მოცულობა... მეორე ნაკლი ჩიტორელიძის ფელეტონისა მდგომარეობდა სატირის ძალის სისუსტეში. ამ მხრივ იგი, ცხადია, ახლოსაც ვერ მიდიოდა აკაკის „ახირებულ ფორელთან" (იქვე, გვ. 187).

როგორც ხედავთ, სპეციალისტებს სათქმელი გვაქვს!

**ი. ლორთქიფანიძე,**
**ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.**

# ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ფილოსოფოსთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „დეტერმინიზმის აქტუალური პრობლემები", რომელშიც სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მოძმე სოციალისტური ქვეყნების — პოლონეთის, უნგრეთის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე მოვიდა წერილი ლოძიდან, რომელსაც ხელს აწერს თბილისის კონფერენციის მონაწილე, ლოძის უნივერსიტეტის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი რიშარდ პანასიუკი. წერილში წერია:

„ღრმად პატივცემულო ამხანაგო რექტორო!

ფილოსოფოსთა საკავშირო კონფერენციის პოლონელ მონაწილეთა სახელით გულითად მადლობას გიხდით თქვენს სახელოვან უნივერსიტეტში მოწვევისათვის. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ თქვენ საშუალება მოგვეცით გავცნობოდით ქართველი და სხვა საბჭოთა ფილოსოფოსების მიღწევებს დეტერმინიზმის თანამედროვე საკითხთა შესწავლაში და ამასთანავე წარმოგვდგინა ამავე საკითხების ჩვენი კვლევის შედეგები. კონფერენციის მაღალმა სამეცნიერო დონემ და მდიდარმა ტურისტულმა პროგრამამ შესაძლებლობა მოგვცა გავცნობოდით თქვენი ქვეყნის ძველსა და ახალ სოციალისტურ კულტურას, მის შესანიშნავ პეიზაჟებს, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ კონფერენციის ბრწყინვალე ორგანიზაცია.

ეს იყო ჩვენი მეორე შეხვედრა ქართველ ფილოსოფოსებთან 1977 წელს ლოძში თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის თემაზე მოწყობილი კონფერენციის შემდეგ. ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ჩვენი ქართველი მეგობრების მაღალ სამეცნიერო კომპეტენციაში და ურთიერთკონტაქტების საარგებლიანობაში. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა წარმატებით გაგრძელდება".

**გ. ნოდია.**

# ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლეთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი ამხ. დევი გიორგის ძე **ხუციშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**პარტიულ** და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლეთან დაკავშირებით საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გალაქტიონ კონსტანტინეს ძე **ნაჯუღია** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ • ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

# ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲔᲫᲚᲕᲜᲔᲑᲐ

● ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

## ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲬᲘᲒᲠᲔᲑᲐ

ᲡᲙᲙᲙ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ინტერნაციონალური შეჯიბრების, ერთ-ერთი ინიციატორი გახდა პრაღის სამრეწველო ავტომატიკის ქარხანა „ᲩᲡ-კოშირეე". მისმა წარმომადგენლებმა პრაღის სხვა ხუთი საწარმოს კოლექტივებთან ერთად მასობრივ მიტინგზე იკისრეს გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი. მათ უკვე მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ახობით შრომითმა კოლექტივმა.

ქარხანა უშვებს გამომთვლელი ტექნიკის პერიფერიულ მოწყობილობას, რომელსაც მოძმე ქვეყნებს აწვდიან. საწარმოს უდიდესი პარტნიორია საბჭოთა კავშირი.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. იცავდა რა დასავლეთ ევროპის ქვეყნების წინაშე ისრაელთან დადებულ სეპარატულ გარიგებას, რომელმაც უკვე კარგა ხანია ევროპელებისათვის ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, იგი ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ეძებს კემპ-დევიდის „გაუმჯობესებული" შეთანხმების ფორმულას, დასავლეთ ევროპას მოუწოდა მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს „შეარიგოს" პალესტინელები ისრაელთან.

ის, რომ სადათის „ახალი" წინადადებები მხოლოდ კამუფლაჟია, ცდაა წარმოადგინოს კემპ-დევიდი ახლებურად, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებისათვის უფრო მისაღები იქნება, და ამასთან არ შეცვლის სეპარატული გარიგების არსს, მოწმობს სადათის გამოსვლის მთელ ხასიათს. როგორც ლონდონის „ტაიმსი" თავის კომენტარში აღნიშნავს, „ეგვიპტის პრეზიდენტი საკმაოდ ფრთხილი იყო, რომ კემპ-დევიდის პროცესისა და ეგვიპტესა და ისრაელს შორის ავტონომიური შეთანხმებისათვის ეჭვის ჩრდილიც კი არ მიეყენებინა".

გამოსვლის დროს სადათი ბევრს ლაპარაკობდა პალესტინელთა უფლებებზე, თუმცა ერთხელაც არ ახსენა მათი ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია.

ეს მას შეახსენეს ევროპის პარლამენტის დეპუტატებმა, რომლებმაც დარბაზში გამოფინეს პლაკატი „აღიარეთ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია!", „არ გვინდა კემპ-დევიდი".

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ.** **პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის** ლონდონის „ტაიმსი" თავის კომენტარში აღნიშნავს, „ეგვიპტის პრეზიდენტი საკმაოდ ფრთხილი იყო, რომ კემპ-დევიდის პროცესისა და ეგვიპტესა და ისრაელს შორის ავტონომიური შეთანხმებისათვის ეჭვის ჩრდილიც კი არ მიეყენებინა".

გამოსვლის დროს სადათი ბევრს ლაპარაკობდა პალესტინელთა უფლებებზე, თუმცა ერთხელაც არ ახსენა მათი ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია.

ეს მას შეახსენეს ევროპის პარლამენტის დეპუტატებმა, რომლებმაც დარბაზში გამოფინეს პლაკატი „აღიარეთ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია!", „არ გვინდა კემპ-დევიდი".

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ.** **პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის** ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ" ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲘᲐᲭᲝᲓᲜᲔ ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ „ᲩᲡ-1500" ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

● ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

## ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XII ყრილობის აღსანიშნავად რესპუბლიკის პროფკავშირებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს — გაშალონ საყოველთაოსახალხო მოძრაობა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მატერიალური დანახარჯების შემცირებისათვის.

ეს ინიციატივა დაედო საფუძვლად ბულგარელ მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომ ღირსეულად შეხვდნენ ბულგარელ კომუნისტთა ფორუმს, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ბულგარეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ევგენიევმა. შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლა მუდამ ახალ თაობნობას ბადებს, რომელიც მიზნად ისახავს საგეგმო დავალებების გადაჭარბებით შესრულებას, პროდუქციის ხარისხის და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

● ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

## ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ

ᲑᲐᲙᲐᲣᲨᲘ ქიმიური სასუქების კომბინატში მწყობრში ჩადგა რუმინეთში უდიდესი კარბამიდის საწარმოო ფაბრიკა, რომლის სიმძლავრეა 420 ათასი ტონა წელიწადში. ახალი ფაბრიკა აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით. საწარმოს აგების დროს მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა მისი მშენებლობა.

# ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ,** ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრაზე დამთავრდა წინათ შეტანილი წინადადებების განხილვა. მოლაპარაკებებ ამ ეტაპის ბოლო პლენარულ სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი.

უნგრეთისა და ბულგარეთის დელეგაციების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზი გაუსვეს, რომ მხარს უჭერენ ჰელსინკის მორიგებათა ფორმასა და შინაარსს.

ამერიკის დელეგაციამ ფაქტობრივად გაილაშქრა სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური თავის გამოსვლაში აშკარად ცდილობდა მადრიდის შეხვედრა უნაყოფო დისკუსიებად წარმოესახა, საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა შეიარაღების ზრდის გამო, იმისათვის, რომ გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და მისი შემცირების მოლაპარაკება, რომლებიც სხვადასხვა ფორუმებზე მიმდინარეობს ერთ ადგილს ტეკვნის.

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის დელეგაციები, რომლებმაც წამოაყენეს „საერთაშორისო ტერორიზმის" საკითხი, შეეცადნენ ჩრდილი მიეყენებინათ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოზიციისათვის ამ საკითხში. საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში საკადრისი პასუხი გასცა დასავლეთის დელეგაციების ცდებს შეზვედრა წარმართონ კონფრონტაციის სულისკვეთებით.

საბჭოთა დელეგატმა შემდეგ განაცხადა, რომ სსრ კავშირი ყოველთვის იყო და იქნება ტერორიზმის თეორიისა და პრაქტიკის პრინციპული მოწინააღმდეგე.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

## ᲛᲫᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ ᲜᲓᲝᲒᲘᲡ ᲕᲝᲢᲣᲡᲐ

**ᲠᲝᲛᲘ,** იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატაში გაიმართა ხმის მიცემა მთავრობისადმი ნდობის საკითხზე. ეს საკითხი ქრისტიან დემოკრატის ა. ფორლანის კაბინეტმა დასვა იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტში იხილება ტერორიზმთან ბრძოლის მთავრობისეული დეკრეტის განგრძობის საკითხი.

დეკრეტი, რომელმაც „კოსიგის კანონის" სახელწოდება მიიღო (მაშინდელი მთავრობის მეთაურის სახელის მიხედვით), სხვა ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებდა მიენიჭებინა პოლიციისათვის უფლება დაეკავებინათ ეჭვმიტანილი პირები უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე წინათ, ამასთან არ ეუწყებინათ ამის შესახებ სასამართლო ხელისუფალთათვის. ამან მემარცხენე პარტიათა სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებიც იხილავენ ასეთ ღონისძიებებს, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგოს.

დეკრეტის ამ დებულების მოქმედების ვადა გავიდა გასული წლის დამლევს, მაგრამ მმართველი კოალიციის პარტიები დაჟინებით მოითხოვდნენ მის განგრძობას მიმდინარე წლის დამლევამდე.

ოპოზიციური პარტიები, მათ შორის კომპარტია, რომელიც პრინციპულად არ უარყოფს ასეთ დებულებას, მოითხოვენ არსებითი ცვლილებების შეტანას იმ მიზნით, რომ გარანტირებულ იქნეს მოქალაქეთა კანონიერება და იურიდიული უფლებები.

კაბინეტისადმი ნდობის ვოტუმს მხარი დაუჭირა 355 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო — 243, თავი შეიკავა — 8 დეპუტატმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲔᲓᲐᲥᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲜᲐᲚᲘ

13 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ!

# ᲫᲘᲠᲒᲐᲛᲝᲛᲗᲮᲠᲔᲚ ᲐᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამუშავებენ ახალ ძირგამომთხრელ აქციათა გეგმებს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამას აშკარად მოწმობს გულღვარძლიანთა იმ ახალმოვლენილი ჯგუფის — ეგრეთ წოდებული „თავისუფალი მსოფლიოს მომხრე კომიტეტის" მისწრაფებები, რომელმაც აქ გამართა საორგანიზაციო სხდომა.

„კომიტეტის დოკუმენტების გაცნობა ეჭვს არ იწვევს, რომ ესოდენ პრეტენზიული დასახელების ორგანიზაციის სულისჩამდგმელებმა დაისახეს პროვოკაციული ამოცანა — განახორციელონ იდეოლოგიური დივერსიები სსრ კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, პროგრესულად განვითარებადი ქვეყნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ.

მკვლევრმეცნიერთა „კომიტეტის" დამფუძნებელ წევრთა სია. აქ არიან „ქორული" შეხედულებებით ცნობილი მოღვაწეები, ომის მოტრფიალე სოონსტები, რეაქციული პროფესურის წარმომადგენლები და დასავლური კულტურის კონსერვატიულად განწყობილი მოღვაწეები, მილიტარიზმის მქადაგებლები, რეაქციული პროფბოსები, ყოველი ჯურის გარეწრები.

ის ფაქტი, რომ „კომიტეტში" თვალსაჩინო როლს ასრულებენ ახალი ადმინისტრაციის ოფიციალური პირნი, ნათელს ხდის, თუ ვინ უმაგრებს ზურგს სინამდვილეში ამ ორგანიზაციას. მათ უპირველეს ყოვლისა განეკუთვნება რ. პაიფსი, რომელმაც თანამდებობა მიიღო ეროვნული უშიშროების საბჭოში. ზედმეტი როდი იქნება იმის შეხსენება, რომ სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში ექსპერტების ჯგუფს, რომელმაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალებით 1976 წელს მოამზადა ტენდენციური მოხსენება სსრ კავშირის შესახებ. ეს მოხსენება შემდგომში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის იდეოლოგიური საფუძველი გახდა „კომიტეტის" წევრთა სიაში არიან აგრეთვე სახელმწიფო მდივნის თანაშემწე საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმეებში ე. აბრამსი, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჯ. კირკპატრიკი.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

# ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ

**ᲫᲔᲜᲔᲕᲐ.** დიდი წარმატებით მიმდინარეობს აქ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „რუსთავის" გასტროლები. შვეიცარიელი მაყურებელი მოხიბლა საქართველოს ხალხური ცეკვებისა და სიმღერების შემსრულებელთა დინამიკურმა და ტემპერამენტიანმა მანერამ, დიდმა ოსტატობამ. წარმატება კოსტუმებმა, პოეზიით აღსავსე სიმღერებმა, ჩინებულმა ხალხურმა სიმღერებმა დაატყვევა მაყურებელი, წერს გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევი".

## ᲛᲡᲝᲚᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

### ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

#### ᲓᲐᲙᲐᲢᲘᲛᲘᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲨᲘ

● ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘᲡ გაზეთი „ალ-ანაფირი" იუწყება, რომ ეგვიპტის დედაქალაქში დაპატიმრეს ეგვიპტის არმიის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც ბრალს დებენ შეიარაღებულ ძალებში იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნას ქვეყანაში არსებული წყობილების დამხობის მიზნით. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამ საქმის გამო დაპატიმრებული ყველა სამხედრო მოსამსახურე განსამართლების მოლოდინში კაიროს მკაცრი რეჟიმის საპატიმროში იმყოფება.

#### ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲔᲡ

● ᲩᲘᲚᲔᲓᲐᲜ მიღებული ცნობებით, სანტიაგოს საპელაცო სასამართლომ კვლავ არ დაკმაყოფილა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის ჩილელი ერნესტო ოტონეს თხოვნა, რომ ნება დართონ დაბრუნდეს სამშობლოში. ე. ოტონეს, რომელიც აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მრჩეველთა ჯგუფში შედის, ამბრალებენ, რომ იგი „საფრთხეს უქმნის ჩილეს სახელმწიფოს და ხაზგვარგარეთ ეროვნული ინტერესებისათვის მტრულ საქმიანობას ეწევა".

#### ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

● ᲐᲗᲔᲜᲨᲘ დამთავრდა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ამერიკელი გენერლის ბ. როჯერსის და სახეირნოთის პრემიერ-მინისტრის გ. რალისის მოლაპარაკება.

#### ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲔᲥᲝ

● ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. ისრაელის ენერგეტიკამ გამოაცხადა, რომ ამა წლის 30 ივნისს გაიმართება პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. ეს გადაწყვეტილება გამოიწვია მთავრობის მწვავე კრიზისმა, რომელიც მოპყვა ტელ-ავივის მმართველი წრეების გაკოტრებულ პოლიტიკას. ხაზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, ამომრჩეველთა დაახლოებით 40 პროცენტმა ჯერჯერობით არ იცის, ვის მისცეს ხმა, რადგან როგორც შრომის პარტიამ, ისე ბეგინის ბლოკმა სახელი გაიტეხეს.

## ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ

### ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲡᲘ

**ᲢᲝᲙᲘᲝ,** (სამხრეთ კორეაში გათამაშდა „პრეზიდენტის არჩევნების" მორიგი ფარსი. ამ იაფფასიანი პოლიტიკური სპექტაკლის მთავარი მოქმედი პირია თვით დიქტატორი ჩონ დუ ხვანი, რომელმაც გადაწყვიტა ასე დაეკანონოს თავისი მმართველობა სულ ცოტა უახლოესი შვიდი წლის მანძილზე.

ახლანდელ, ეგრეთ წოდებულ „არჩევნებზე" დაასახელებენ ამრჩევთა კოლეგიის 5278 წევრს, რომლებმაც 25 თებერვალს კენჭი უნდა უყარონ პრეზიდენტობის კანდიდატს. ამრჩევთა 70 პროცენტზე მეტი იმ პარტიის წევრები არიან, რომელსაც სათავეში უდგას ჩონ დუ ხვანი. ჩონ დუ ხვანს პრეზიდენტის საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციური ბლოკი ეყოლებოდა. ეს ბლოკი ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი, ეროვნული ერთიანობის ალიანსი, ეროვნული ერთიანობის ალიანსი, ეროვნული ერთიანობის ალიანსი, ეროვნული ერთიანობის ალიანსი, ეროვნული ერთი

## ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

# ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲠᲔ

**ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ**-ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲪᲘᲚᲖᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲥᲝᲚᲝᲛᲑᲜᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ, ᲮᲘᲓᲗᲐᲜ, ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲜᲝᲛᲝᲚᲘᲡ ᲫᲔᲓᲘᲗᲐᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲡ, ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲡ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ, ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ. მაგრამ ამაოდ, ქალაღდი ქალაღლს ემატება, ტომი — ტომს, საქმეს კი დასასრული არ უჩანს.

ამ ხუთი წლის განმავლობაში იმდენი ათრიეს და აწვალეს, იმდენი აბრუნეს და ატრიალეს ეს საქმე, ისე აბურდეს და არიგდარიეს, რომ ახლა ძნელიც კია გადაჭრით თქვა, ვის მიუძღვის ყველაზე მეტი ბრალი ყოველივე ამაში.

როგორც საქმის მასალები მოწმობენ, ყველაზე მეტად მაინც სათავეში აიმღვრა წყალი, მერე კი სხვებმაც ურიეს ხელი ამ ამღვრეულ წყალში.

მაგრამ სჯობს თანამიმდევრობით მივყვეთ ამბავთა მსვლელობას. ავტოკატასტროფა 1975 წლის 25 დეკემბერს მოხდა, 2 საათსა და 20 წუთზე. აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მორიგემ შეტყობინება შემთხვევის შესახებ ხუთი წუთის შემდეგ მიიღო და ავტოინსპექტორიც მაშინვე გაეშურა ადგილზე. ავტოავარიის შედეგად ბ. სირაძის გარდაცვალების გამო სისხლის სამართლის საქმე კი 1976 წლის 4 თებერვალს აღიძრა, შემთხვევიდან 40 დღის შემდეგ: კანონით კი ამისათვის 10 დღის ვადაა დაწესებული. ამ ხნის განმავლობაში ან უნდა აღიძრას საქმე, ან გამოტანილ იქნეს დადგენილება სისხლის სამართლის

დაეღუპავს თავი და ეს არის!

მაგრამ მერე, როცა ავტოინსპექტორმა ჭეიშვილმა ავარიის გარემოებანი უფრო დაწვრილებით გამოიკითხა და შემთხვევის ადგილი და ნაავარიეები მანქანა დაათვალიერა, დაეჭვდა: მოლად ისე არ უნდა ყოფილიყო საქმე, როგორც ავარიის უშუალო მოწმეები რ. კუტივაძე და გ.კვერნაძე წარმოსახავდნენ. ამიტომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო იმავე დღეს გაგზავნილ ოპერატიულ ცნობაში მან შენიშვნის სახით ჩაწერა: „შესაძლებელია ავტომანქანის საჭესთან მჯდარიყო იმ ორ დაშავებულ პირთაგან ერთ-ერთი, რომლებიც განმარტავენ, ჩვენ არ ვმჯდარვართო“.

ავტოინსპექტორის ეს მოსაზრება საყურადღებოც იყო და საფუძვლიანიც. ჯერ ერთი, დაღუპული თანამგზავრი და ამხანაგი აბაშის რაიონულ საავტომყოფოში რომ მიიყვანეს, მისი ვინაობა არ გაამხილეს, არ ვიცით ვინ არის, დაქირავებული გვყავდა და არ გამოგვიკითხავსო. რატომ იცრუეს, რატომ შეეცადნენ გაესაიდუმლოებინათ თავს გადამხდარი ხიფათი, რის დამალვა სურდათ ამით?.. და მეორეც, რაც მთავარია, მანქანის წინა მარცხენა მხარე, სადაც მძღოლის ადგილია, თითქმის დაუზიანებელი იყო და შეუძლებელი ჩანდა საჭესთან მჯდომი სასიკვდილოდ დაშავებულიყო.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ ეჭვის საბურველში გახვეული მოსაზრება იყო, რასაც დასაბუთება და დამტკიცება სჭირდებოდა.

ჯერი საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოებზე მიდგა. მათ უნდა დაედგინათ ჭეშმარიტება და ან დამნაშავე ეპოვათ და დაესაჯათ, ან დაემტკიცებინათ, რომ ეჭვები უსაფუძვლო იყო და ბ. სირაძე თავისივე ბრალით და მიზეზით გადაეყარა ფათერაკს.

და აი, უკვე ხუთი წელი გავიდა ამ უბედური შემთხვევიდან, საბოლოო პასუხი კი აქ წამოჭრილ არც ერთ კითხვაზე არ არის გაცემული. სხვა შემთხვევა არც კი გვგონია, სისხლის სამართლის საქმე კი გაჭიანურებულიყოს.

ყველაფერს აქვს საზღვარი, რამდენ ხანს შეიძლება ლოდინი და მოთმენა? სხვა არ იყოს რა, ჭირისუფალი დაიტანჯა და გაწამდა.

— დამეხმარეთ, მიშველეთ, მითხარით, გამაგებინეთ, როგორ



საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა ჯალაღანიამ, რომელიც მაშინ საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობდა და ამ საქმის საერთო ზედამხედველობაც ეკისრებოდა, თავი იმით იმართლა, მოუცლელი ვიყავი, თანაც საქმე უპერსპექტივოდ მომეჩვენაო.

რას ქვია უპერსპექტივო! იურისტს, გამოძიების დარგის მუშაკს ამ ტერმინის ხმარებაც კი არ ეპატიება. საგამოძიებო მოქმედების შეუსრულებლად როგორ შეიძლება თქვა და დაასკვნა, საქმე პერსპექტიული არ არისო!

ოთხ თვეზე მეტ ხანს ჰქონდა საქმე წარმოებაში. აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას — ჯერ გამომძიებელ ჯღარკავას ხელში იყო, მერე უფროსი გამომძიებელი ჯალაღანია იძიებდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არსებითად არაფური არ გაუკეთებია.

1976 წლის 18 ივნისს საქმის წარმოება გადაეცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელს ნინუას, რომელმაც რამდენიმე ფურცელი მიუმატა საქმეს და ბოლოს, 6 თვის შემდეგ, მისი წარმოება შეწყვიტა.

გავიდა კიდევ 14 თვე და ავტოკატასტროფაში დაღუპულის ძამიკ ბ. სირაძის საჩივრების საფუძველზე საქართველოს სსრ პროკურატურამ გააუქმა გამომძიებელ ნინუას მიერ გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ და 1978 წლის 28 თებერვალს გამოსაძიებლად გადაეცა ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროს გამომძიებელს ჯინჭველაშვილს. რამდენიმე თვის ძიების შედეგად დაგროვილი მასალების საფუძველზე მან დადგენილად ჩათვალა, რომ ავარიის დროს მანქანას აწ გარდაცვლილი ბ. სირაძე კი არა, რეზო ნოეს ძე კუტივაძე მართავდა და საბრალდო დასკვნით ამ უკანასკნელს ბრალი დასდო დანაშაულში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად.

ამგვარად, ორწელიწად-ნახევრის ძიების შემდეგ პრალდებული აბაშის რაიონის სახალხო სასამართლოს წარუდგა. მაგრამ სასამართლომ წაყენებული ბრალდება საკმაოდ დასაბუთებულად არ ჩათვალა და 1978 წლის 29 ივნისის განჩინებით საქმე კვლავ ქუთაისის პროკურატურას დაუბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის.

დამატებით გამოძიებას კიდევ ხუთი თვე დასჭირდა და 1979 წლის 15 მარტს ამჯერად სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლო შეუდგა საქმის განხილვას, მაგრამ განაჩენის გამოტანა ვერც მან შეძლო და სამსჯავრო გამოძიების დამთავრების შემდეგ 1979 წლის 28 მარტის განჩინებით კვლავ დამატებითი გამოძიება მოითხოვა.

და ისევ აგორდა და დაიძრა საქმე ახალ-ახალი მისამართებით — სასამართლოდან პროკურატურაში, პროკურატურიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში, აქედან უმაღლეს სასამართლოში, მერე ისევ სახალხო სასამართლოში, და კვლავ თავიდან... კაცს თავბრუ დაეხვევა ამდენი ბრუნვა-ტრიალითა და მისახვევ-მოსახვევებით. მთიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით იმატა, გაიბერა და გასივდა საქმე — ერთი ტომი ხუთ წელიწადში ცხრა ტომად იქცა, საბოლოო განაჩენი კი არა და არა ჩანს.

აბაშისა და სამტრედიის სახალხო სასამართლოს შემდეგ კიდევ ორი სახალხო სასამართლო მოიარა რ. კუტივაძის ბრალდების საქმემ — ქ. ჭიათურისა და ქუთაისის ლენინის რაიონისა. მაგრამ განაჩენი არც ერთს არ გამოუტანია. ერთმაც და მეორემაც საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნა პროკურატურას.

სისხლის სამართლის ამ უბადოდ ბუნდოვანი საქმის გამო შექმნილ უკანასკნელ დოკუმენტში — ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის 10 ნოემბრის განჩინებაში 9 პუნქტად არის ჩამოყალიბებული წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული შეცდომები, ხარვეზები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელახალი გამოძიების პროცესში უნდა გაირკვეს, შეივსოს და გამოსწორდეს.

ვერ ვიტყვით, თითქოს სახალხო სასამართლოს ეს მოთხოვნა და მითითებები უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყოს, მაგრამ ნუთუ ყველაფერი ეს ახლა, ავტოკატასტროფის მოხდენიდან ხუთი წლის შემდეგ უნდა კეთდებოდეს?! ხუთი წლის განმავლობაში რით ვერ შეძლეს ისე გამოეძიათ ამ ავტოსაგზაო შემთხვევის ყოველი დეტალი, რომ ხინჯი და ხარვეზი არ დაეტოვებინათ საქმეში, გასარკვევი ბოლომდე გაერკვიათ და დაეზუსტებინათ?!

რა დავარქვათ ამას? — დაუდევრობა? უპასუხისმგებლობა? ბიუროკრატიზმი? არა, ეს ცოტაა. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება დანაშაულს უღრის.

საქმის გარჩევას ასე გაუთავებლად იმიტომ აჭიანურებენ, რომ დამნაშავეს ხელი შეუწყონ, რათა სასჯელს თავი დააღწიოსო— ეჭვს გამოთქვამენ და ჩვეიან ავტოკატასტროფაში დაღუპული შვილის შობლები. თავის მხრივ, სამართალში მიცემული რ. კუტივაძე წუწუნებს და თავს იკატუნებს, ხუთი წელია უდანაშაულო კაცი დამტანჯეს და გამაწამესო. რას ეტყვი, ერთსაც აქვს ასეთი ლაპარაკის საფუძველი და მეორესაც. მთავარი კი ის არის, რომ ყველაფერი ეს საქმისათვის არის საზიანო. ხომ უდავოა: დრო გადის, მით უფრო ძნელი ხდება ავტოავარიის სრული სურათის აღდგენა და მრუდისა და მართლის გარკვევა. განა თვით მოწმეებს ისევე ცხადად და შეუცდომლად შეუძლიათ გაიხსენონ ხუთი წლის წინათ მომხდარი ამბავი, ვიდრე ამას ფაქტის მოხდენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, „ცხელ კვალზე“ იზამდნენ?

ოცდათხი წლის ვაჟკაცის დამკარგავ მშობლებს თავისი დარდი არ ეყოფათ, ვაიზე ვუი რომ დაუმატეს და საქმის დაუსრულებელი გაჭიანურებით სიმშვიდე და მოსვენება დაუკარგეს!

ბოლოს და ბოლოს, დამთავრდება თუ არა მათი ტანჯვა, ექნება თუ არა დასასრული ამ ამბავს? და ნუთუ დაუსჯელი უნდა დარჩნენ ისინი, ვინც ეს საქმე ასე გააჭიანურა?!

**მ. მიქაძე,**
**დ. გედენიძე.**

## ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲐ

# ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲪᲘᲡᲢᲔᲠᲜᲐ“

**ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲘᲜ** ნოემბერში ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში სოფლის ყრილობა გაიმართა. პრინციპული და მკაცრი სჯა-ბაასი ჰქონდათ სპეკულანტებზე, მუქთახორებსა და სხვა ჯურის პარაზიტებზე, რომლებსაც რესპუბლიკის გარეთ გაჰქონდათ და მასისხლად ყიდდნენ ციტრუსებს. ზოგიერთს საკამიდამო ბაღიც კი ჩამოართვეს, ბევრი მკაცრად გააფრთხილეს.

და აი, 2 წლის თავზე ისევ ნოემბერში მორიგი ავკაცობა გაიმეორა ღრმაღელის მკვიდრმა გიორგი ბოლქვაძემ, რომელიც ახალი ხერხით — გაზის ცისტერნით ცდილობდა რესპუბლიკის გარეთ გაეტანა 2 ტონაზე მეტი მანდარინი. სპეკულანტს კოზი ნაცარში ჩაუყარდა. მილიციის მუშაკებმა იგი მაშინ დააკავეს, როცა თავი სამშვიდობოს ეგონა.

გაიგეს თუ არა გ. ბოლქვაძისა და მის ხელმძღვანელთა საძარცვანი საქმენი, მეურნეობის მშრომელები სასწრაფოდ შეიკრიბნენ სოფლის ყრილობაზე უღირსთა გასაკიცხავად.

მოვუსმინოთ მათ.

ირონ კვაჭანტირაძე — ღრმაღელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. შრომისმოყვარე მეციტრუსეებს ჩირქს სცხებს თითო-ოროლა სპეკულანტი, ჩვენ დროულად გავაფრთხილეთ ეჭვმტანილი თანასოფლელები, მაგრამ გ. ბოლქვაძემ მაინც ზურგი შეგვაქცია, თავისი არ დაიშალა. ახლა მთავარია ვიცოდეთ, ვინ მისცა მას 2 ტონაზე მეტი მანდარინი. შემოწმებით დადგინდა, რომ საკარმიდამო ბაღში გ. ბოლქვაძეს სულ დიდი 700 კილოგრამი მანდარინი თუ ექნებოდა.

სათქმელი უნდა ითქვას, — ამბობს სოფლის მასწავლებელი ნათელა ქობალავა. — მრცხვენია, რომ ჩვენს უბანში მუქთახორები ბოგინობენ, ამდენი მთელ რაიონში არ იქნება, ჩვენ კი გულდამშვიდებით შეეცქერით მათ.

№ 6 აგროუბნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შოთა გოგოლიშვილმა თქვა: განა ნაკლებ სამარცხვინოა, რომ მეურნეობაში წარამარა იკარგება პირუტყვი, ქურდი ჩვენ შორის იყო და არის ვამბობდით. ამას წინათ იგი დააპატიმრეს. ქურდი მამია ჟღენტი აღმოჩნდა. მან საკუთარი ბიძაც კი არ დაინდო — მეწველი ძროხა მოჰპარა, დაკლა და ხორცად გაყიდა.

ჩვენ შევეჩვიეთ სოფლის ყრილობაზე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გამოსვლას, — ამბობს პენსიონერი მუშა იოსებ კვაჭანტირაძე — არც ლამაზად გაფორმებული დადგენილებები გვიშველის. რამდენ სპეკულანტსა და უპატიოსნო კაცს ჩამოვართვით ციტრუსების ბაღი, მაგრამ როგორც აქ ითქვა, მოსავალი მაინც მათ ხელშია.

სოფლის ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება სპეკულანტ გიორგი ბოლქვაძისთვის ციტრუსების ბაღის ჩამორთმევის შესახებ.

როგორც ირკვევა, მამია ჟღენტი ამ მარცხით დამთავრებული რეისის მონაწილეა, მას აღმოაჩნდა ფოთის გაზის კანტორიდან წამოღებული დასტობით საგზური.

ვინ არის მ. ჟღენტი? ერთი თავზე ხელაღებული სპეკულანტი და მუქთახორა. ღრმაღელელმა მშრომელებმა იგი არაერთხელ გაკიცხეს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის.

მადა ჭამაში მოდისო — ახლა მ. ჟღენტი თავისი ბანდით მახარაძის რაიონს ეწვია. აქ მათ 26 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოიპარეს. აი სწორედ აქ გატყდა კოკა წყალზე! მახარაძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა (უფროსი ჯ. შარაძე) მოკლე დროში შეიპყრეს მ. ჟღენტი და მისი ბანდა.

დღეს ორი აზრი არ არის იმაზე, რომ მშრომელთა ნაამაგარი უნდა დავიცვათ პარაზიტებისაგან, რომლებიც არ უფრთხილდებიან მშობლიური სოფლის, რაიონისა და რესპუბლიკის ღირსებას.

**გ. ჩხაიძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲜᲣᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲝ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ „ᲛᲔᲝᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲮᲘᲡ ᲮᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲗᲐ.



**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** ᲖᲔᲛᲝᲗ — ᲛᲐᲠᲜᲣᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲝ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ; ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲫᲦᲝᲚᲘ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲚᲘ ᲐᲕᲗᲝᲜᲓᲦᲚ ᲡᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Გ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

# ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲪᲐᲛᲔᲢᲘ...

### „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში კონცერტები დაიწყო ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ივერიამ“, რომელიც მსმენელთა წინაშე ახალი პროგრამით წარსდგა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი შ. აგლაძე ესაუბრა ანსამბლის ხელმძღვანელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ბასილაიას.

— შარშანდელი წელი, — თქვა ა. ბასილაიამ, — უაღრესად ნაყოფიერი იყო ანსამბლისათვის. ფართო მაყურებელმა ჩვენი კონცერტები მოიწონა. შარშან თბილისში დაგეგმილი გვქონდა ოცდაორი გამოსვლა, საბოლოოდ კი ეს რიცხვი ასამდე გაიზარდა. საერთო აღიარება მოიპოვა „ჩხიკვთა ქორწილმა“. ამ პროგრამით რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მშრომელებისათვის გამართულმა კონცერტებმა ოთხასს გადააჭარბა. ასეთი სოლიდური ციფრები, ცხადია, ანსამბლის სასიკეთოდ მეტყველებს.

წლევანდელი წელი საიუბილეო თარიღად გვაქვს გამოცხადებული. გაგიკვირდებათ, ალბათ, თუ ვიტყვი, რომ იგი ცამეტს უკავშირდება, რადგანაც ანსამბლი „ივერია“ უკვე ცამეტი წელია არსებობს, მის შემადგენლობაში ცამეტი წევრია, ახალი პროგრამა რიგით მეცამეტეა და კონცერტებსაც ცამეტ თებერვალს ვიწყებთ. როგორც ხედავთ, ცამეტი რიცხვი ანსამბლ „ივერიისათვის“ ბედნიერია! ცხადია, ახალი პროგრამაც საიუბილეო და საინტერესო უნდა იყოს.

ეს ახალი თბილისური კონცერტები ანსამბლის შემოქმედებითი გზის ერთგვარი რეზიუმე იქნება. იგი არის შემაჯამებელი და განმსაზღვრელი ჩვენი მიღწევებისა, რომლებმაც თავისი კვალი დაჩნია ახალ პროგრამასაც. მასში შევიტანეთ, ჩვენი აზრით, გასული წლების საუკეთესო სიმღერები, ავრეთვე რეპერტუარი გამამდიდრეთ ახალი ნაწარმოებებით. ძირითადად, ანსამბლი შესრულებს გ. ტაბიძის, მ. ფოცხიშვილის, ა. კალანდაძის ლექსებზე კომპოზიტორების გ. ცაბაძის, ვ. ბზარაშვილის, ნ. გიგაურის და სხვათა მიერ შექმნილ სიმღერებს. ანსამბლი ინარჩუნებს მიუზიკლის და საესტრადო კონცერტის მონაცვლეობის ტრადიციას, რომელსაც შევეცდებით მომავალშიც არ ვუღალატოთ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ახალ წარმოდგენას ახლავს ცოცხალი ქართული იუმორი, რომელიც ესოდენ კარგად აღიქვა მაყურებელმა. კონცერტი მთლიანად თეატრალიზებულია. ახალი პროგრამის რეჟისორია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. გელოვანი, ქორეოგრაფი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ზარეცკი.

თბილისის შემდეგ ანსამბლი კიდევ უფრო გამდიდრებული პროგრამით საგასტროლოდ მიეგზავრება მოსკოვში.



# ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲩᲐᲘᲑᲐᲠᲝᲗ „ᲭᲘᲒᲣᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ

### ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲥᲛᲑᲔᲑᲘ

**ᲑᲐᲒᲕᲬᲝᲛᲑᲐᲨᲘ** ნანახი სურათი არასოდეს ავიწყდება კაცს.

...1921 წლის ზაფხულია; ზუგდიდის მაზრის სოფელ კახთაში მცირე წვეულება აქვს მამაჩემს. სტუმრებმა თავი მოიყარეს.

ეზოში ლაფში თოხარიკით შემოაგელვა ზორბა კაცმა. ცხენი პატარა იყო, მხედარი — დიდი.

— სიძე მოდის! — თვალი გაუბრწყინდა დედაჩემს. მოსული გაიოზ ფიფია გახლდათ.

გაიოზი ღიმილით შევიდა დარბაზში და მიესალმა სუფრასთან მსხდომთ. სტუმრებმა სტუმარი მიიპატიჟეს, მაგრამ გაიოზმა დედაჩემი იკითხა: დიასახლისს ვთხოვ მობძანდეს და მერე დავჯდებიო. მოსულმა შეიხსნა მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი, დამბაჩა და დედაჩემს მიაწოდა.

— სონია, შემინახე. აქ სუფრაა, ეგებ ღვინო მომეკიდოს და არ მჭირდება იარაღი.

...იმ დღეს პირველად ვნახე მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი და დამბაჩა, რომელიც სიძეს მოწოწებით გამოართვა დედაჩემმა. მისივე ნება-სურვილით განიარაღებულმა გაიოზ ფიფიამ ბოლომდის იქეიფა.

ეს კარგი წესი არ უნდა დაიკარგოს. მომლხენს არ სჭირდება იარაღი!

იარაღი კი მარტო დამბაჩა არ გახლავთ. ხანჯალზე და რევოლვერზე უფრო საშიში რამ აქვს ხოლმე ზოგიერთს...

* * *

კიდევ ერთი მოგონება; ეს უკვე დღევანდელობის ამბავია. სოხუმში ერთი ცნობილი კაცის გასვენებაზე ვიყავით ზუგდიდელები. საპესთან ჩვენი ზუგდიდელივე მეგობარი იჯდა. ნამუშევარს დავბრუნდით უკან. გზაჯვარედინზე წითელი შუქი აკაფდა. თუმცა გვიანი იყო და ქალაქში არც ერთი მანქანა არ ჩანდა, მძღოლმა გაიჩერა ავტომობილი და ჩაილაპარაკა: წესი წესია. ამ შემთხვევაში მინდა ვიყო პედანტი და დავუცადო მწვანე შუქს.

ესეც საგულისხმო ფაქტია!

...ახლა რამდენიმე წუთით შევიკლ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში და მკითხველსაც ვთხოვ შემომყვეს ცოტა ხანს.

მეგობრის ვაჟი ავტოავარიაში მოჰყვა. თურმე იცოცხლებს ეს კაცი. მომლხენს არ სჭირდება იარაღი!

...1921 წლის ზაფხულია; ზუგდიდის მაზრის სოფელ კახთაში მცირე წვეულება აქვს მამაჩემს. სტუმრებმა თავი მოიყარეს.

ეზოში ლაფში თოხარიკით შემოაგელვა ზორბა კაცმა. ცხენი პატარა იყო, მხედარი — დიდი.

— სიძე მოდის! — თვალი გაუბრწყინდა დედაჩემს. მოსული გაიოზ ფიფია გახლდათ.

გაიოზი ღიმილით შევიდა დარბაზში და მიესალმა სუფრასთან მსხდომთ. სტუმრებმა სტუმარი მიიპატიჟეს, მაგრამ გაიოზმა დედაჩემი იკითხა: დიასახლისს ვთხოვ მობძანდეს და მერე დავჯდებიო. მოსულმა შეიხსნა მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი, დამბაჩა და დედაჩემს მიაწოდა.

— სონია, შემინახე. აქ სუფრაა, ეგებ ღვინო მომეკიდოს და არ მჭირდება იარაღი.

...იმ დღეს პირველად ვნახე მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი და დამბაჩა, რომელიც სიძეს მოწოწებით გამოართვა დედაჩემმა. მისივე ნება-სურვილით განიარაღებულმა გაიოზ ფიფიამ ბოლომდის იქეიფა.

ეს კარგი წესი არ უნდა დაიკარგოს. მომლხენს არ სჭირდება იარაღი!

...ეს ამბავი ბევრ ადამიანს ეცოდინებოდა, ოღონდ